ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3440682

ნომერი: AR1513608

თარიღი : 12.06.2017

გაცემის თარიღი : 09.08.2017

გაცნობის თარიღი : 10.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების II მ/რ-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდ. (ნაკვეთი N14)/ ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების II მ/რ-ში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდ. (ნაკვეთი N9)/ ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის მე-2, მე-3, მე-4 მ/რ-ის მიმდ. ნაკვ. N32;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაღრაძე პ/ნ 01010002996
- თბილისი, ნუცუბიძის II მიკრორაიონი,I კვარტალი, კ.3, ბინა 1

ორგანიზაცია:

- შპს,,პალა ჯგუფი'' კოდი: 400126902

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3224141
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 5.11.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვაჟა ტარასაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "პალა ჯგუფი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400126902

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "პალა ჯგუფი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400126902
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი მაღრაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010002996

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1868.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1013.5
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 6266.1
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 750.7
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 691.2
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1613.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 19363.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 14671.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 4691.5
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 22.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 17.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 5.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 948.9=0,5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4355,4=2,3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 501,7=0,3
- .სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 3211.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული №AR1513608 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი პროექტი და საექსპერტო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტს.

- შესაბამის ველში წარმოდგენილი უნდა იყოს მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა.

1.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: მისასვლელი გზის მოწყობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი თანხმობა/ნებართვა.

2.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოდგენილი უნდა იყოს ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა, მიუთითეთ გადაღების თარიღი.

3.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: დათვლისას გაითვალისწინეთ, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი არის მიწის ნაკვეთის შენობა-ნაგებობებით დაფარული, განაშენიანებული ზედაპირის ორთოგონალური პროექციის ფართობი.

4.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : არ არის სწორი. მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 არის: ა) შენობისთვის – მიწისპირა სართულის (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, პირველი მიწისზედა სართულის) იატაკის ზედაპირის (მათ შორის კიბის, ტერასის, აივნის, ერკერის, გარდა სამანქანო პანდუსისა) გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობის მიწის ნაკვეთის საერთო ფართობთან შეფარდების მაქსიმალური მაჩვენებელი;

5.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : განახლდეს საჭიროების შემთხვევაში.

6.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : არ არის სწორი. მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტით (კ-3) განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ტერიტორიის ფართობის მინიმალური წილი, რომელიც არ უნდა იყოს დაფარული, ან გადაფარული რაიმე წყალგაუმტარი მასალით (სამშენებლო თუ სხვა), რომლის ქვეშაც არ უნდა არსებობდეს რაიმე შენობა-ნაგებობა, ან/და მათი ნაწილები და რომელიც განკუთვნილია გამწვანებისათვის.

7.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: "5-1" ღერძებში მხოლოდ გარკვეულ სიმაღლემდეა შესაძლებელი ღიობების მოწყობა - თუ შენობის საანგარიშო სიმაღლე არ აღემატება 7,5 მეტრს, მაშინ შენობის სამეზობლო საზღვრიდან 3,0 მეტრით დაშორების შემთხვევაში შენობის საანგარიშო ზედაპირზე შესაძლებელია მოეწყოს კარი, ფანჯარა, სამტრედე და სხვა ღია ნაწილები. 3.0-დან 10 მეტრით დაშორების შემთხვევაში – შემდეგი ფორმულის შემდეგი შეფარდების შესაბამისად: დაშორება გაყოფილი 0.4-ზე. დანარჩენ შემთხვევაში შესაძლებელია ღიობები გამოიჭრას 10 მეტრის შემდეგ. მიუთითეთ ღობე, რომელიც დატანილი უნდა იყოს ჭრილებზე და ფასადებზე შესაბამისი გაბარიტული ზომებით.

8.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: ჭრილების დასახელება მოიყვანეთ გეგმებთან ურთიერთშესაბამისობაში.

9.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: "თ-ა" ფასადი მოიყვანეთ გეგმებთან შესაბამისობაში. წარმოდგენილი უნდა იყოს მიწისქვეშა და მიწისპირა სართულების განშლა.

10.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე "9-10" ღერძებს შორის ჭრა.

11.ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოდგენილი ვიზუალური მხარე საჭიროებს უფრო მეტად დახვეწა–გადამუშავებას, როგორც არქიტექტურულ–მოცულობითი თვალსაზრისით, ასევე მოსაპირკეთებელ მასალებსა და ფერთან მიმართებაში.

12.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე განაშენიანების და საზაფხულო ფართების საანგარიშო კონტურები (კროკი) რიცხვითი მაჩვენებლებით, მეათედის სიზუსტით. განახლდეს

ხარვეზების გათვალისწინებით.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ ადგენს ყველა შესაძლო ხარვეზს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.